ალოიზ მიზანდარი

მიზანდარები არა მარტო მუსიკალური მოღვაწეობით იყვნენ აღსანიშნავნი, არამედ მოქალაქეობრივი სინდისით, კეთილშობილებით, პატიოსნებით, სიწმინდითა და თავდადებული მამულიშვილობით. სამწუხაროდ, ამ მოღვაწეთა შესახებ არცთუ ისე მდიდარი მასალა მოგვეპოვება, ისინი სრულიად დაუმსახურებლად არიან მივიწყებულნი...

ნიკოლოზ გიორგაძე
„ალოიზ მიზანდარი“, გამომცემლობა „მერანი“. 1969

ალოიზ იოსების ძე მიზანდარი (1837-1912) – საერთაშორისო მნიშვნელობის პირველი ქართველი პიანისტი-ვირტუოზი, კომპოზიტორი, პირველი დაბეჭდილი მუსიკალური ნაწარმოების ავტორი (რომანსი „ჩვენ დავშორდით“ – 1863 წელს გამოიცა პეტერბურგში), ქართული საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებელი, პირველი ქართული სამუსიკო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, რუსეთის საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების საპატიო წევრი, დამსახურებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე...

1874 წელს ალოიზ მიზანდარმა, ხარლამპი სავანელმა და კონსტანტინე ალიხანოვმა თბილისში დააარსეს სამუსიკო სკოლა, რომელიც 1886 წელს სამუსიკო სასწავლებლად, ხოლო 1917 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიად გადაკეთდა.

პეტერბურგში სწავლისას და ევროპაში გასტროლების დროს (პარიზი, ვენა – 1865-1867) ახლო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ სახელგანთქმულ მუსიკოსებთან, როგორებიც იყვნენ: პეტრე ჩაიკოვსკი, ანტონ რუბინშტაინი, მილი ბალაკირევი, ფერენც ლისტი, ჯოაკინო როსინი, იოჰანეს ბრამსი, შარლ გუნო, ჯუზეპე ვერდი, ფრანსუა ობერი, ჰენრიხ ვენიავსკი, ანტუან მარმონტელი და სხვ. გადმოცემის თანახმად, ალოიზ მიზანდარი და ფერენც ლისტი ხშირად უკრავდნენ ერთად ორ როიალზე.

ალოიზ მიზანდარის საკონცერტო გამოსვლებს კრიტიკა მაღალ შეფასებას აძლევდა: „იშვიათი მოხდენილობითა და გენიალური შესრულებით ბატონმა მიზანდარმა მსმენელები განაცვიფრა“ (გაზეთები: „დერ ვანდერერ“ (1867), „დიე დებატე“ (1867), „ფორდერბლატ“ (1867), „ნოიე ვიენნერ თეატერ ცაიტუნგ“ (1867).

ალოიზ მიზანდარის მოსწავლე იყო ქართული საფორტეპიანო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პირველი ქართველი პროფესორი ქალი ანა თულაშვილი, ასევე, ეკატერინე პოლტორაცკაია.

1921 წლის 25 თებერვლის – გასაბჭობის შემდეგ, რევოლუციამდელი მოღვაწეები იმპერიალისტებად გამოცხადდნენ და მათი სახელები დავიწყებას მიეცა. თუმცა სიმართლე და ჭეშმარიტება არ იკარგება.

1954 წელს, ალოიზ მიზანდარის გზის გამგრძელებელმა ანა თულაშვილმა დაარღვია დუმილი და გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, რომლითაც საზოგადოებას ამცნო, რომ არსებობდა ქართული პროფესიული მუსიკის მესაძირკვლე, პირველი ქართველი კომპოზიტორი და პიანისტი ალოიზ მიზანდარი.

საქმე იქამდე მივიდა, რომ 1970 წელს, კომპოზიტორის ნეშტი კუკიის სასაფლაოდან დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადმოასვენეს, ხოლო პირველ სამუსიკო სკოლას მისი სახელი უწოდეს.

ახლა თბილისში არსებობს ალოიზ მიზანდარის სახელობის ქუჩა, ასევე მისი სახელობის №1 ხელოვნების სკოლა და მის ნაწარმოებებს ცნობილი პიანისტები, სოლისტები, პედაგოგები და მოსწავლეები დიდი სიყვარულით ასრულებენ.

რაც შეეხება ალოიზ მიზანდარის შემოქმედებას, მისი საფორტეპიანო, ვოკალური და საორკესტრო ნაწარმოებები ქართული პროფესიული მუსიკის პირველი ნიმუშებია. დაკარგულია მრავალი ნაწარმოები, მათ შორის ოთხხმიანი მესები, რომლებიც თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში სრულდებოდა.

არქივში დაცულია ალოიზ მიზანდარის ოთხი ხელნაწერი ნოტი. მათგან ორი დაწერილია 1867 წელს, ვენაში, ხოლო ორი – თბილისში. ეს არის ქართული საფორტეპიანო და საორკესტრო მუსიკის პირველი ხელნაწერი ნოტები. მათ შორის პირველი პარტიტურა, რომლის პრემიერა 2016 წლის 22 ოქტომბერს მაესტრო ვახტანგ კახიძის დირიჟორობით გაიმართა.

ხელოვნების სასახლის ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა ფონდში ინახება ალოიზ მიზანდარის საფორტეპიანო პიესების ალბომი, რომელიც ქართული პროფესიული მუსიკის პირველი დაბეჭდილი ნაწარმოებების კრებულია და მოიცავს 1892-1900 წლებს.

ალოიზ მიზანდარის საფორტეპიანო პიესების ალბომში შეტანილია შემდეგი ნაწარმოებები:

1. „ორი პატარა ვალსი“. ვალსი №1 ეძღვნება ო. შ. პითოევას, ვალსი №2 – „ივლისის ღამე“.

თბილისი, ჩეტვერუხინის გამომცემლობა, დაიბეჭდა სანქტ-პეტერბურგში, ბესელის სტამბაში. 5 ფ.

2. მაზურკა – „მოგონება აბასთუმანზე“.

ეძღვნება მის საიმპერატორო უდიდებულესობას, დიდ თავად გიორგი ალექსანდროვიჩ რომანოვს.

დაწერილია 1892 წელს, აბასთუმანში, გამოიცა მოსკოვში, იურგენსონთან, თბილისელი გამომცემლის მირიმანიანის დაკვეთით. 4 ფ.

3. „მაზურკა-ფანტაზია“ – ეძღვნება მიხაილ გატოვსკის.

დაწერილია 1880-იან წლებში. სანქტ-პეტერბურგი, ბესელის გამომცემლობა. 5 ფ.

4. „ალეგრეტო“ ფელიქს მენდელსონის სიმფონია-კანტატიდან.

კლავირის ავტორია ალოიზ მიზანდარი. სანქტ-პეტერბურგი, ბესელის გამომცემლობა. 4 ფ.

5. „აღმოსავლური მელოდია და ლეზგინკა“.

სავარაუდოდ, დაწერილია 1867-1870 წლებში. სანქტ-პეტერბურგი, ბესელის გამომცემლობა. 3 ფ.

არქივში ასევე ინახება ალოიზ მიზანდარის ძმიშვილის, პირველი თაობის ქართველი დირიჟორების პლეადის წარმომადგენლის, სახალხო გვარდიის ორკესტრის დამაარსებლის, ევგენი მიქელაძის მასწავლებლის, თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის „ბრმა დირიჟორის“ – ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი დოკუმენტები.

ხელოვნების სასახლის (საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი) მემორიალურ და ხელოვნების ნიმუშთა ფონდში ინახება ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარის კამერტონი, სადირიჟორო ჯოხი, დამოუკიდებელი საქართველოს ცხენოსანთა გვარდიის სამხრე, მიზანდარების ნაქონი (XIX-XX სს.) ნოტების საბეჭდი შტამპები (82 ც.). ხოლო ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა ფონდში – ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარის საოპერო და საბალეტო კლავირები (XIX-XX სს.) – ავტოგრაფებით.

იხ. მონოგრაფია „მიზანდარი“, ავტორი ლევან მიზანდარი. გამომცემლობა „გრიფონი“, 2011 წ.

ალოიზ მიზანდარის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ალოიზ მიზანდარის, ხარლამპი სავანელისა და კონსტანტინე ალიხანოვის განცხადება სამუსიკო სკოლის გახსნის შესახებ.
   პირი: ქალბატონი ჟაბა.
   1874 წ. 1 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 2 გვ.

2. ქართველი აზნაურების – ა. მიზანდარისა და ხ. სავანელის თხოვნა თბილისის გენერალ-გუბერნატორის კ. ი. ორლოვსკისადმი, სამუსიკო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით.
   (მასალას ერთვის ნაბეჭდი ვერსია. დამოწმებულია კულტურის სამინისტროს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ბეჭდით).
   1874 წ. თბილისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 4 გვ (ასლი 2 გვ).

3. აზნაურების – ალოიზ მიზანდარისა და ხარლამპი სავანელის განცხადება სენატორ პ. კლუშინისადმი, სამუსიკო სკოლის მდგომარეობის შესახებ.
   (მასალას ერთვის ნაბეჭდი ვერსია. დამოწმებულია კულტურის სამინისტროს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ბეჭდით)
   პირი: გენერალ-მაიორი დ. ს. სტაროსელსკი.
   1876 წ. 12 ოქტომბერი. თბილისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე, 4 გვ (ასლი 3 გვ).

4. თბილისის სამუსიკო სკოლასთან არსებული მუსიკის მოყვარულთა წრის მიერ დადგენილი მოკლე წესები.
   (მასალას ერთვის ნაბეჭდი ვერსია. დამოწმებულია კულტურის სამინისტროს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ბეჭდით).
   1881 წ. 1 სექტემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე, 4 გვ (ასლი 2 გვ).

5. რუსეთის საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების მიერ გაცემული სიგელი ალოიზ მიზანდარის საპატიო წევრად არჩევის შესახებ.
   1891 წ. 12 ივნისი ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე, 1 გვ.

6. მოსწავლეთა მისალოცი ადრესი ალოიზ მიზანდარის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით.
1912 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე, ხელს აწერენ: გ. მ. ერისთოვა-თამანშევა (ერისთავი), ო. მ[პ]-ბერგი, ო. კამინსკაია-მარტინოვა, ი. სტახოვსკი, ე. ვ. გარსევანოვა, მ. ნ. ჯამბაკურ-ორბელიანი, ანა თულაევა (თულაშვილი), ნ. ასლამაზოვა (ასლამაზიშვილი), ს. სტეფანოვა-ჩუბარევა, ს. ე. ფსაროვა-მირზოევა, ა. აკოფოვი, ა. ა. მანთაშევა-ყორღანოვა, ნ. ელიაზაროვი, ი. ელიაზაროვი, ე. ტერ-ასატუროვი, ვ. იუზბაშევი, ვ. ს. პონდაევა-მილოევა, ე. თამანშევი, თავ. ი. კ. თუმანოვა (თუმანიშვილი), ს. ი. პოლტორაცკაია, ე. ო. ტერ-ასატუროვა, მ. ნ. აკიმოვა, ი. ტარსაიძე, გ. ზუბალოვა (ზუბალაშვილი), თავ. ნ. ა და ნ. ი. ბებუთოვები (ბებუთიშვილები), ნ. ა. ტიგრანოვა-მანთაშევა, ო. ი. შაჰნაზაროვა-თავ. მიქელაძე, ე. ი. საგინოვა-თავ. ერისთოვა (საგინაშვილი-ერისთავი), ნ. ა. ტიხონოვა-კანკრინა, ს. პ. ბროდსკაია-შიფერი, ნ. ა. პრიდონოვა-ტრახტენბერგი, ა. გ. მაჩაბელი-ერისთოვა (ერისთავი), ა. ი. ჩიტაკოვა, ე. ი. პოლტორაცკაია, ე. ოგანეზოვა, მ. ნ. არუთუნოვა-ათაბეგოვა, ს. ვ. ართაროვა, [ბ. ე.] ტაბუროვა, ს. ირიცპუხოვა-სერებრიაკოვა, ტ. კუკუჯანოვა-ავეტისოვა, თავ. ხიმშიევა – თავ. ჩხოტუა (ხიმშიაშვილი-ჩხოტუა), ე. მელიქბეგლაროვა-ტერიანი, თავ. თ. ერისთოვა-ბრაილოვსკაია (ერისთავი), თავ. ე. ერისთოვა-დომერსჩიკოვა (ერისთავი), ტ. მანთაშევა-ამბარდაროვა, ს. ტაიროვა, თავ. ე. მ. არღუთინსკაია-დოლგორუკოვა (არღუთაშვილი-მხარგრძელი), ნ. მირიმანოვა-ცურინოვა, ე. ველინოვა-ტონიევა, ე. ვართანოვა-მაკაროვა. 2 გვ.

7. საიმპერატორო რუსული სამუსიკო საზოგადოების თბილისის განყოფილების სამუსიკო სასწავლებლის 1911-1912 წლების ანგარიში.
1912 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 4 გვ.

8. საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის კახა ცაბაძის განცხადება თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის ლაშა იმედაშვილისადმი, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ალოიზ მიზანდარის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
2011 წ. 3 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. ასლი. 1 გვ.

9. ქალაქ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის ლაშა იმედაშვილის პასუხი საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის კახა ცაბაძისადმი, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ალოიზ მიზანდარის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
2011 წ. 31 აგვისტო. თბილისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბლანკიანი ფურცელი. ასლი. 1 გვ.

10. საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის კახა ცაბაძის პასუხის პასუხი თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის ლაშა იმედაშვილისადმი, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ალოიზ მიზანდარის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
2012 წ. 10 იანვარი, თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი, ხელმოწერილი, ბეჭედი. ასლი. 1 გვ.

11. ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის დადგენილება №34 „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ე. წ. ხეხილის სანერგე მეურნეობის დასახლებაში უსახელო ქუჩებისთვის ზაქარია ჯორჯაძის, ვალერიან კანდელაკის, ნიკოლოზ აგიაშვილის, ნატო გაბუნიას, ალოიზ მიზანდარის და დავით იოსელიანის სახელების მინიჭების შესახებ.
პირი: საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი.
2014 წ. 21 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. 7 გვ (რუკები 6 გვ).

12. ალოიზ მიზანდარის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის გახსნასთან დაკავშირებული მასალა.
2017 წ. 23 აპრილი-4 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. 5გვ.

13. მუსიკალური სკოლის თანამშრომელთა სია.
პირი: დირექტორები: იპოლიტოვ-ივანოვი, კლენოვსკი, ნიკოლაევი, ჩერეპნინი. დირექციის წევრები: ხარლამპი სავანელი, ალოიზ მიზანდარი, კ. მ. ალიხანოვი, ი. ი. პითოევი, ა. ი. ჩაიკოვსკი, იზ. ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი), ა. ყორღანოვი, ტალიზინი, მ. ვ. ორბელიანი, ზუბალოვი (ზუბალაშვილი), პედაგოგები: ავალოვი (ავალიშვილი), ი. აისბერგი, ბეტინგი, ბებუთოვი (ბებუთიშვილი), ბროდგი, ბრაუერი, ვაინბერგი, ვ. რ. ვილშაუ, გ. გ. ვილსი, ა. კ. ვოლტერი, მ. ზ. გაბაევა (გაბაშვილი), ვ. ი. გერკე, ე. გიჯინი, კ. კ. ტორსკი, ბ.ს გუზიკოვი, დერბეკი, გ.ს. დებერი, ელისეევა-ლოდინი, ზარუდნაია, ზარანეკი, ა. ა. ზელენაია, ვ. ი. ზელენი, ზიკე, კარპოვიჩი (კალაშნიკოვა), ფ. კ. კერპერი, კავალი, ყორღანოვი, კრამერი, კოლჩინი, ლონგო, ი. ა. ლევინი, ლემანი, ლ. ა. მადერი, ქ-ნი მაკარევიჩი, ი. მ. მატკოვსკი, კ. ა. მინიარი, ნეიჰაუზი, ნ. დ. ნიკოლაევი, ზ. პ. ფალიევი (ფალიაშვილი), ფ. ფ. პარიზიკი, ო. მ. პიკოვაროვა, ს. ა. ორაკოვა, რანგე, რუბინო, პ. ლ. რონცი, ი. ფ. სარაჯიევი (სარაჯიშვილი), ხ. სავანელი, სემიგალოვი, მ. ვ. სერბულოვი, სივერსი, ი. კ. სტახოვსკაია, ტერ-სტეფანოვა, მ. ბ. ტოიმანი, ლ. ი. ტორიანი, ტრუსკოვსკი, თულაევა (თულაშვილი), ტუორტო, მ. ი. უნტილოვა, ფედოტოვა, ფიშბერგი, მ. პ. შერშოვი, ა. ფ. შანშიევა, ი. ფ. შიფერი, შტრეიხერი, მ. ლ. შმუგლევსკი, ე. ო. ეპშტაინი, დ. ა. უსატოვი, კ. ვ. ზარემბა, ზატლაუბი.
უთარიღო, ხელნაწერი, რუსულ ენაზე, 2 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

14. ალოიზ მიზანდარის რომანსი „ჩვენ დავშორდით“, ევგენი ბარიატინსკის ლექსზე. ხმისა და ფორტეპიანოსთვის.
1863 წ. 23 იანვარი. სანქტ-პეტერბურგი. ნოტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 2 გვ.

15. ალოიზ მიზანდარის საფორტეპიანო პიესა „Fugitive Musings for my Friend“ („წუთიერი ფიქრები ჩემს მეგობარზე“).
1867 წ. იანვარი. ვენა. ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. 2 გვ.

16. ალოიზ მიზანდარი – „ტიფლის-პოლკა“ სიმფონიური ორკესტრისთვის.
1867 წ. იანვარი. პარტიტურა და პარტიები. ავტოგრაფი. შავი მელანი. ფრანგულ ენაზე. 17 გვ.

17. ა. მიზანდარის საფორტეპიანო პიესა „ლეკური“ და „ალეგრეტო“ ფ. მენდელსონის მეორე სიმფონია-კანტატიდან, ოპ. 52. ფორტეპიანოსთვის გადატანილი ა. მიზანდარის მიერ.
უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ და ფრანგულ ენებზე. ფანქარი. 6 გვ.

პროგრამები, მცირე ზომის აფიშები, მოსაწვევი ბარათი

18. თბილისის სამუსიკო სკოლის მეორე საკვარტეტო საღამოს აფიშა.
შემსრულებლები: ხარლამპი სავანელი, ალოიზ მიზანდარი.
1877 წ. 2 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.

19. თბილისის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა პირველი კონცერტის (შეკრების) პროგრამა
1879 წ. 28 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.

20. თბილისის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მესამე კონცერტის (შეკრების) პროგრამა.
1880 წ. 9 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.

21. ა. მიზანდარის დაბადების 130 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს მოსაწვევი.
1968 წ. 27 სექტემბერი. თბილისი. დასტამბული. 1 ც, 2 ეგზ.

22. ალოიზ მიზანდარის დაბადების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონ-ცერტისა და ლევან მიზანდარის დებიუტის პროგრამა.
2009 წ. 13 მარტი. თბილისი. დასტამბული. 1 ც.

23. ალოიზ მიზანდარის დაბადების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონ-ცერტისა და ლევან მიზანდარის დებიუტის მომცრო ზომის აფიშა.
2009 წ. 13 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. 1ც.

24. ქართული მუსიკის საღამოს პროგრამა. შესრულდა ალოიზ მიზანდარის „ტიფლის-პოლკა“. დირიჟორი ვახტანგ კახიძე.
2016 წ. 22 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 ც.

ალოიზ მიზანდარის გარდაცვალების მოწმობა

25. ამონაწერი თბილისის ღვთისმშობლის მიძინების რომაულ-კათოლიკური სამრევლო ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერიდან, ალოიზ იოსების ძე მიზანდარის გარდაცვალების შესახებ.
    პირი: მღვდელი ამირხანოვი, მღვდელი ლ. გოდალოვი.
    1912 წ. 21 აგვისტო. თბილისი. კუკია. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

სხვადასხვა

26. აზნაურობის დამადასტურებელი მოწმობა, გაცემული თბილისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს მიერ ლეონ-ფრანც-იოსებ ვალერიანის ძე მიზანდარი-სადმი (ალოიზ მიზანდარის ძმისშვილი).
    1904 წ. 4 აგვისტო, თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. დამოწმებულია თბილისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს ბეჭდით. 1 გვ.

27. სახელმწიფო თეატრში გამართული სახალხო გვარდიის მარშების კონკურსის პროგრამა.
    პირი: კოტე ფოცხვერაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ვალერიან მიზანდარი, ზაქარია ფალიაშვილი.
    1920 წ. 27 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 ც.

28. გარნიზონის უფროსის განცხადება კულტურის განყოფილებისადმი, მუსიკალური ინსტრუმენტების მოთხოვნასთან დაკავშირებით.
    პირი: მიზანდარი, რუხაძე, ქურიძე, ჩიკვილაძე, ილ. აბაშიძის დადებითი რეზოლუციით.
    1921 წ. 11 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

29. ჟ. ბიზეს ოპერა „კარმენის“ პროგრამა, დამდგმელი დირიჟორი ვ. ფ. მიზანდარი.
    1923 წ. თბილისი. ნაბეჭდი აბრეშუმზე. 1 ც.

30. ქართველ ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტის განცხადება სახელოვნო კომიტეტისადმი, ხარლამპი სავანელის ქვრივისთვის პენსიის დანიშვნის შესახებ.
    1922 წ. თბილისი, ნაბეჭდი, ხელს აწერს კლდიაშვილი. 1 გვ.